ოქმი:**ო37.37211901**

თარიღი:**09/07/2021**

ოქმი N11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2021 წელი, 7 ივლისი

ქ. ოზურგეთი

11.00 საათი -12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.საჯაია, გ.კილაძე, ლ. ბიგვავა, ე.გორდელაძე, გ.ჩაგანავა; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, დ.ჭაკნელიძე, ბ.დოლიძე, გ.თოიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე, ხ.ცერცვაძე, ვ.ჩიგოგიძე, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, ვ. ბერიძე, გ.მდინარაძე, პ.კიღურაძე, გ. ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, ვ.ნიჟარაძე, ბ.თოიძე, ლ.კილაძე, ალ.ღლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, თ. ტუღუში, ვლ.ღლონტი, თ.ბურჭულაძე, ლ.სიჭინავა, მ.ბერიძე, გ.ჩავლეშვილი. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები. სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 32 საკრებულოს წევრმა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 32-ხმით.

დღის წესრიგი

37.1. ,,2021-2023 წლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე

ლელა საჯაია

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32 -ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ დასვა შეკითხვა „თვითმმართველობა განათლებისათვის“ აღებული ვალდებულებით გათვალისწინებული პროექტების თაობაზე-მიეცა განმარტება.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა გეგმაზე და მხარს უჭერს მას.

38.2.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე

ლელა საჯაია

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32 -ხმით

13.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32 -ხმით

4.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ღია მმართველობა საქართველოს 2019-2020-წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნანა თავდუმაძე

მომხსენებელმა, ნ.თავდუმაძემ ვრცლად ისაუბრა OGP-ის მიმდინარე ღია მმართველობა პარტნიორობის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ, აღნიშნა, რომ შევიმუშავებულ იქნა გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, თანდართული კომპლექსური მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიითურთ. ეს უკანასკნელი შემუშავდა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, OGP სამდივნოს და USAID/GGI მხარდაჭერით. ეს მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი ეტაპია გამჭვირვალობისა და დემოკრატიული მმართველობის სტანდარტების გაუმჯობესებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. ნ.თავდუმაძემ თქვა, რომ მნიშვნელოვანი გამოცდილებაა სრულყოფილი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, რომლებიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის და შესაძლებელი იქნება მათი სამომავლოდ გამოყენება, გარდა ამისა, თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთად მუშაობის მზაობამ შესაძლებლობა მოგვცა შემოგვეღო მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, რომელიც, სამოქმედო გეგმის

განხორციელების პროცესის შეფასების ინსტრუმენტისა და ადრეული შედეგების შესახებ ანგარიშგების საშუალებით მოახდენს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ინსტიტუციონალიზაციას ადგილობრივ დონეზე. ასევე, აღნიშნა,რომ საკრებულოს სხდომაზე წარდგენილ იქნა მონიტორინგის შედეგები.

ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საკითხის მოსმენისას საკრებულოს წევრმა მ.ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა ანგარიშის მოსმენას დასწრებოდა მერიის ხელმძღვანელობა, შეკითხვას დაუსვამდნენ პეტიციებზე რეაგირებაზე.

39.5.„ქალაქ ოზურგეთის დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული უსახელო სკვერისათვის -„არსენ კეჭაყმაძის“-ის სახელის მინიჭების თაობაზე“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

საკრებულოს წევრმა ვ.ჩიგოგიძემ განაცხადა, რომ არსენ კეჭაყმაძე უდიდესი ოზურგეთელი იყო და მხარს უჭერს გადაწყვეტილებას, მაგრამ კვლავ დააყენა თეატრის წინ არსებული მოედნის სახელწოდებაში ცვლილების შეტანის საკითხი, კერძოდ-მას უნდა ეწოდოს „ზვიად გამსახურდიას სახელობის თეატრალური მოედანი“, ამ წინადადებას მხარი დაუჭირა საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ და წამოაყენა წინადადება ერთ-ერთ საკრებულოს წევრს ქ.ოზურგეთიდან სთხოვონ საინიციატივო წინადადების წარმოდგენა.

40.6.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციის ხაზობრივი ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32 -ხმით

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი